თავად-აზნაურთა პრეზიდან

ანეინა. ქა ამდენი როგორ ილაპარაკე, რომ ასე მოიქანცე და გული შეგიწუხდა?

თათქარიძე. (მოსუდგერებული) რას იზამ გეთაყვა ენდა ილაპარაკო. საქვეყნო საქმეა. გუშინ წინ დილით და საღამოთი ვილაპარაკე. გუშინ დილით, შუადღეზე და საღამოს; დღეს დილით და შუადღეზე [illegible]

ქეციანი.

„ხოლო მე ვითარცა ყრუსა არა მე-
სმოდა და ვითარცა უტყვმან არა
აღვაღე პირი თვისი“.
(ფსალმუნი კიტა აბაშიძისა).

მოგეხსენებათ, ხელი ხელსა ჰბანს,
ორივე ერთად
ამშვენებენ პირს!
ერთხელ კრებაზე მარჯვენა ხელი*)
შეემთხვა, თურმე,
დიდსა გასაჭირს:
ის აუჯანყდა პირსა დამშეულს
და მარცხენისგან
შველას დაჩვეულს,
სასაყვედუროთ კილო მოესმა
და იცნო მასში
მეგობრისა ხმა.
მარცხენა ხელი (მისგან აღზრდილი
მგოსანი სანდრო
შანშიაშვილი)
„საქართველოის“ შუქურ ვარსკლავა
ამ გაფიცვაზე
მას შეედავა.
არ დაუხსომა ძველი ამაგი
(და სამწუხარო
არა არის აგი?)
შემოსწყრა კიტა „მის აღმოზრდილსა“
დიდებულ მგოსანს
შანშიაშვილსა
და რაც კი გულში ხინჩი ებუდა
სულშემხუთავად
შემოუფუტა:
— შვილო სანდრო! არ გრცხვენია,
მოიძულე შენი კიტა?
აღარ გახსოვს ბავშობისას
გულს ჩაგიკრა, ხელით გზიდა?
ასე უნდა დაუფასო
ღვაწლი აღმზრდელ ჭირისუფალს
კაცების თუ არ გრცხვენია
იქ რას ეტყვი მამა უფალს?
აღარ გახსოვს „აზრელებმა“
ქურდობა რომ შემოგწამეს?
პირველათ ვინ შეებრძოლა
მათ თავხედურ სითამამეს?
აღარ გახსოვს **შენი ქება**
„ხალხის გარყვნათ“ ჩამითვალეს,
ლამის ოთხში ამომიღეს,
გამაწამეს, გამაწვალეს?
აღარ გახსოვს... მაგრამ განა
ჩამოითვლის ყველა აგი,
რაც მე შენზე შრომა მიძღვის,
სამსახური და ამაგი?!
შე პარნასზე მობინადრეს
ქვეყნის არა გაგეგება,
და კიტა გულ დამდუღრული
კვლავ ფერხთ ქვეშე გაგეგება,
მაგრამ შენ ჩემს გამონაზარდს
არ შეგშვენის ჩემზე ძვირი
და ასე რომ მომიძულე
ეგ მაწუხებს, ამას ვტირი“.

მარცხენა ხელმა, (შანშიაშვილმა
კიტის ნაღვაწმა
და გამოზრდილმა)
ღვაწლი კრიტიკოსს არ დაუფასა
„საქართველოში“
ეს მოუთავსა:

— ჩემო მცველო ანგელოზო
სანატრელო ძია კიტო,
ბროლის სხივთა ქანდაკებავ
და დილის მზის მარგალიტო!
წავიკითხე გულის ყურით
სიტყვა შენი მონაგზავნი:
სარგებელსაც ვერ გადვიხდი,
შენ კი გინდა გიზლო **თავნი!!**
შიმშილობაც რომ არ იყოს,
აწ მე რაღა გამასუქებს,
თუ პროტესტში გამოუშვებ —
მაგ უთვალავ თამასუქებს? ?
ჭკუიან კაცს გეძახიან,
მწერლობითაც არ ხარ ხამი
და ეს როგორ მოგივიდა,
რომ მომთხოვე მგოსანს ქრთამი?
შენის აზრით **„სისხლით ირწყვის
საფრანგეთის მინდორ-მდელო
და არც კი ღირს ლაპარაკად
ქეციანი საქართველო“.**
მაგრამ რა ვქნა, როცა გული

*) გთხოვთ სცნათ კ ი ტ ა ა
მისი სახელი.

უფრო ეტრფის „ჩვენს ქეციანს“
ვიდრე ფრანგთა საიმაყეს:
პარიზს მდიდარს და ეშხიანს.
თუნდ მომაკლდეს შენი ზრუნვა,
მომაგე შენი ხელი,
მაინც ვიტყვი—ქეციანსაც
საზრდო უნდა და საჭმელი!

ეშმაკი.



მოციქულთა სწორი წმინდა მოწამე

კიტა

(ერისკაცობაში ივანე აბაშიძე).

ქართველ წმინდანთა გუნდს შეემატა ახალი მოწამე და მოციქულთა სწორი კიტა. როგორც ირკვევა ძველი გაზეთებიდან, ის თურმე მეოცე საუკუნეში ცხოვრობდა. უწამებიათ იგი ეგრეთ წოდებულ სოციალ-დემოკრატებს. განსაკუთრებით დღე კიტას მოსაგონათ ჯერ დანიშნული არ არის.

მოზინდე.

გერმანელების სიმხეცე.

მკითხველი, რა თქმა უნდა, წაიკითხავდა იმ შემაძრწუნებელ ცნობას, „სახალხო ფურცელმა“ რომ გამოაქვეყნა ამ დღეებში:

გერმალელებმა „დაპყრობილ პოლონეთში ყველა პური და ქერი დ ა ა ტ უ ს ა ღ ე ს ო“.

ჩვენმა საგანგებო კორესპონდენტმა შემდეგი დეპეშა გამოგვიგზავნა ამ ალმაშფოთებელ ამბის შესახებ:

„დღეს ვესაუბრე გერმანელთა მიერ დატუსაღებულსა და შემდეგ გამოქცეულ ქერს. აი, რა მიამბო: „გერმანელების სიმხეცე აუწერელია. ჩვენ, ყველა პური და ქერი, შემდგომათ დატუსაღებისა, საშინელ ბნელ სარდაფებში ჩაგვყარეს, შემდეგ საწყალი პურები გაიტანეს და როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, თორნეებში შებრაწეს და **შესჭამეს**!! ქერების მდგომარეობაც ფრიად საშიშია. ვეჭვობ, რომ თუნდ ერთიც გადარჩეს. მე რაღაც სასწაულით გამოვიქეცი“. გამოქცეული ქერი „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში აპირებს მისვლას და დაწვრილებითი ამბებს იქიდან გაიგებთ“.

—

მადლობა ღმერთს! ძლივს ველირსეთ ქართველ სასცენო კრიტიკოსს, რომელიც, თუმცა სათეატრო ჟარგონით სწერს, მაგრამ დიდ სპეციალურ ცოდნასა და გემოვნებას იჩენს.

აი, ნიმუში:

„...ბ-ნი ალ. იმედაშვილი უ ხ ვ ა დ არის დაჯილდოვებული ე რ თ შესანიშნავ თვისებით. ეს გახლავთ მისი სასცენო რიხიანი ხმა“.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ავტორი იმედაშვილის სასცენო, რიხიან ხმას მსახიობის შესანიშნავ თვისებათ სთვლის. ასეთ ზოგად ქების შემდეგ რა თქმა უნდა, ამ ქების დაწვრილებით დასაბუთებას უნდა მოველოდეთ. ავტორიც, ბ. ვ. გარრიკი, ასე ამტკიცებს ალ. იმედაშვილის ხმის შესანიშნაობას:

„მაგრამ, საუბედუროთ, იგი (ხმა და არა იმედაშვილი) ვერ არის დაყენებული ერთ დონეზე (?). სრულიად არ არის მოქნილი, თვით ხმის ტემბრი ალაგ-ალაგ არა სასიამოვნო კილოს იღებს (??)... მის ხმაში ვერ იხატება ვერც სინაზე, ვერც გამომეტყველი (?) აღფრთოვანებული სიხარული, ვერც სევდა-მწუხარება... მსახიობს ხმა სრულებით არ ემორჩილება არც დაბალ და არც მაღალ რეგისტრებში. უფრო საშუალო

ში დგება ერთ დონეზე (!?)... მაგრამ აქაც თითქოს ძუნწობს მახიობი და ნებას არ აძლევს თავის დიაპაზონს, რომ გაიშალოს").

ვსარგებლობთ ზ. გარრიკის უებრო ლოღიკას თვით ავტორის ნიჭის დასახასიათებლათ:

ბ-ნი ვ. გარრიკი უხვად არის დაჯილდოვებული ერთ შესანიშნავ თვისებით. ეს გახლავთ მისი კრიტიკული რიხიანი ნიჭი. მაგრამ, საუბედუროთ, იგი უფრო უნიჭობას ჰგავს და თვით ნიჭის „ტემბრი არა სასიამოვნო კილოს იღებს“. მის „ნიჭში“ ვერ იხატება ვერც კრიტიკული ალღო, ვერც უბრალო წერა-კითხვის ცოდნა. კრიტიკოსი არც თუ მორცხვი ვინმეა და უფრო მეტიჩარა და თავხედი ჰაბუკი უნდა იყოს, რომელსაც გაუგონია უცხო სიტყვები „ტემბრი“, „დიაპაზონი“ და სხვ. და ამ სიტყვებს ისე ხმარობს, რომ მათი მნიშვნელობის არა გაეგება რა. „საშუალო რეგისტრში დიაპაზონის გაშლა“ ისევე ძნელია, როგორც ცხვირის ნესტოში კრიტიკოსის ნიჭის გამოჩენა...

ალ. იმედაშვილს სრული უფლება აქვს წამოიძახოს:

— ეჰ, ღმერთო, ჩვენცა დაგვიხსენ ასეთი მსაჯულისაგან!

სულ ქართული, ქართული!!

—

თავადები გავიცან:
გარსევან და მირიან.
— „საქართველო გვიყვარსო!!“
მუდამ ამას ყვირიან.
სულ ქართველ ერზე ბჭობენ
და მათ გასაჭირზედა;
„ქართველი“, „ქართველობა“
აკერიათ პირზედა.
ალბად მათ ბრწყინვალებას
კარგი რამე ნდომია...
მაგრამ ჩვენი გლეხობაც
ხომ ქართველთა ტომია?..
„ალახს“ ვფიცავ, ისინიც,
(თუნდ იმათი ძველები)
აფრიკით არ მოსულან—
არიან ქართველები!!
მერე, „ქართველობისთვის“
გლეხებს რა პატივს სცემენ?..
„ქართველობისთვის ზრუნვას“
ვნახოთ, რით ამტკიცებენ?!!
რით—და მხოლოთ იმით, რომ
გლეხს სადაც მოასწრობენ:
მისდგებიან „ქართულათ“,
და ტყავს „ქართულს“ აძრობენ.
ამ გვარ „ქართულ ზრუნვაში“
არიან სულ გართული...
(მეტათ სასიამოა,
თურმე „შექმა ქართული“).

—

აწმყოში თვალს ხუჭავენ,
წარსულით ამაყობენ,
თანაც ქართველ მეფეებს
მუდამ ქებით ამკობენ.
მზათ არიან, — ძველ დროსთვის,
ნიანგის ცრემლი ღვარონ...
და სურთ, ქართველი მეფე
გლეხებსაც შეაყვარონ...

—

რომ მეფეს და ქართველ გლეხს
ერთი ენა ჰქონიათ,
თურმე ეს დიდათ ღირდა...
(ცოტა ხომ არ გგონიათ!.)
ოღონდ მეფესთან ერთათ
გლეხს „ქართველი“ რქმეოდა,
მერე თუნდ გლეხს „ქართულათ“
სულიც ამორთმეოდა!..
მეფის კუჭს და გლეხის კუჭს
„ქართულ“ კუჭებს არქმევდენ,
მაგრამ როცა მეფის კუჭს
ბევრ საჭმელს მიართმევდენ,—
„ქართულათ“ გაძღებოდა
საზრდო თავზე სდიოდა,
საწყალ გლეხის „ქართულ“ კუჭს
სულ „ქართულათ“ შიოდა.
როცა მეფე თავადებს
გლეხებს ყმათ უბოძებდა,
სულ „ქართულათ“ დაწერილ
სიგელ-გუჯარს მოსცემდა.
შემდეგ ისევ „ქართულათ“
საქმე საქმეს მისდევდა...
გლეხი თუნდ შეეჭამათ,—
აბა ვინ დაგიდევდა!..

თუნდა ძაღლში გასცვლიდენ,
ნება ჰქონდათ დართული
(ალბათ მაშინ ის ძაღლიც
იქნებოდა ქართული!).
ქართველ გლეხს და ქართულ ძაღს
ერთი ფასი ჰქონიათ.
(ესეც დიდი რამ არის,
ხუმრობა ნუ გგონიათ).
ყველაფერი „ქართულათ“
სწერებიათ დავთრებში,
მაგრამ როცა ამ გლეხებს
ჰყიდდენ ხოლმე თათრებში...
ალბათ აქაც ჰქონიათ
რამ „ქართული“ მიზანი...
მაგრამ, თუ რა? ვეცადე,
ვეღარ გამოვიცანი!!

ფონ-ტეფო.

გ ო ჭ ი*)

(სახუმარო მოთხრობა)

190... წელს № მაზრაში ვიყავი ხარჯის ამკრეფ ინსპექტორათ.

მოვიდა მოწერილობა, რომ გუბერნატორი მობრძანდება მაზრის დასათვალიერებლათო.

შევიკრბით მაზრის უფროსი, მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, მე, ბოქაული, ყველა წარჩინებული პირნი და შევქენით თათბირი იმის თაობაზე, თუ როგორის ზეიმით დავუხვდეთ გუბერნატორს. უპირველეს ყოვლისა ვილაპარაკეთ სადილზე. პირველი სადილი უნდა გაემართა თავადაზნაურობის წინამძღოლს. ასეც დაასკვნეს.

კრებამ ერთხმათ ამირჩია სანოვაგის სასყიდლათ, როგორც კარგი გემოვნების მქონე და გამოჩენილი კულინარი.

---

*) მოგეხსენებათ ჩინებული ქართული ანდაზა: „ბალი წვერში გამწარდებაო“. ეს მოთხრობა „სამშობლოს“ რედაქტორს თავში ესიამტკბილა, მაგრამ წვერში ემწარა და ვეღარ დაბეჭდა. „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია სიამოვნებით უთმობს ადგილს „სამშობლოსაგან“ გაძევებულ მოთხრობას.

მარშალმა მომცა ფული, — თანაც გამაფრთხილა — მათ აღმატებულებას ძალიან უყვარს გოჭი, — რაც უნდა დაგიჯდეს, უსათუოდ „იშოვნეო“ და გამომისტუმრა.

ჩამოვედი ქუთაისში.

დილაა.

მარტოს სიარული და ვაჭრობა ჭირივით მეჯავრება და დავიწყე ბიკენტის ძებნა.

არ იცით, ვინ არის ბიკენტი?

ოო, ბიკენტი ყველას საყვარელი, ყველას მოყვარული, ყველას ჭირისუფალი, ყველას ავანჩავანია.

თვალტანად ცოტა ჯუჯგია, მაგრამ მაინც არა უშავს-რა' გულკეთილი ბიჭია. ყველა პატივსა სცემს. არც ერთი ლხინი, ქეიფი და დასაფლავება უმისოთ არ მოხდება. ვინც იცნობს — ხომ ყველა ეპატიჟება და საქმეს მიანდობს ხოლმე. ვინც არა, — თითონ გაიგებს ბინას, მიდის და თავის სამსახურს შესთავაზებს. დაინახავს თუ არა ცარიელი კუბო მიაქვთ, გაჰყვება თან, მიცვალებულს იტირებს ცხარე ცრემლით, ჭირისუფალს მიუსამძიმრებს და დაიწყებს განკარგულებას. არც არავინ ხელს უშლის. ენდობიან, იციან, რომ რაც ძნელი საქმე იყოს, ბიკენტისავით ვერავინ ვერ გააკეთებს. მერე გგონია ამისათვის ფულს იღებს? არა! ეს არის მისი ბუნებრივი მოთხოვნილება.

დილის 11-დან 2 საათამდე ქალაქის ბაღშია და სადილის „კომბინაციებს“ აწყობს. თუ საქმე ისე მოეწყო, რომ სადილის წინ ვინმემ სადმე გაგზავნა, ერთი ადგილი აქვთ მიჩენილი, (კირაკოზოვის მაღაზია); ამ მაღაზიის კედელზე დაუწერენ იმ რესტორანის ხახელს, რომელშიაც განზრახულია ქეიფი: მაგალითად — „მედვედი“, „იალტა“, „ბორჯომი“, „ლევი“ და სხვ., ბიკენტი მივა, წაიკითხავს და გაექანება იქითკენ.

ერთ დღეს ყმაწვილებმა თურმე უხუმრეს. საქეიფოთ წასვლის წინ სადღაც გაიტყუილეს, კედელზე მიუწერეს „მედვედი“ და სხვაგან-კი წავიდენ.

ბიკენტი დაბრუნდა, წაიკითხა და წავიდა „მედვედში“. იქ არ იყვენ. გაიქცა მეორეში — არც იქ დახვდენ, მესამეში, მეოთხეში... მთელი ქუთაისის დუქან-რესტორანები შემოირბინა და ბოლოს, საღამოს 9 საათზე, ფერმაში მიუსწრო, როცა ქეიფი გაეთავებინათ და სახლში ბრუნდებოდენ.

ზოგჯერ ასე გაემასხრებიან, აწვალებენ, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, როგორც გითხარით, არც ჭირი და არც ლხინი უმისოთ არ იქნება. მიჰყავთ იმიტომ, რომ ოხუნჯია, მახვილი; როცა უკაცობაა სუფრაზე ტოლუმბაშათაც ირჩევენ ხოლმე. კარგათაც სვამს, უკეთესათ კი—სჭამს.

ბიკენტის ამხანაგიც ჰყავს—დიკო.

მაგრამ თქვენ მეორე დიკო არ გეგონოთ. აი, ისა... ქუთაისის პრეზიდენტი... რომელიც ბანკის დირექტორებათ საკუთარ კანდიდატებს ნიშნავს და დამსახურებულ დირექტორებს პენსიას და ჯილდოს თითონვე აძლევს ბანკის მოგებიდან... აი, ისა, კაცო... საზოგადოებისათვის რომ შაქარს იწერს და თითონ ფულს არ „იგებს“, ხოლო სხვა ვაჭრებს-კი ხალიჩის ნაცვლად ფულებს „უგებს“... ის მეორე დიკოა... გვარსაც გეტყოდი, მაგრამ ცოტა არ იყოს ცუდი გვარი აქვს და არ მინდა შევლახო შენი სმენა...

ჰო და ისიც ოხუნჯია, მაგრამ მისი ოხუნჯობა სულ სუფრის გარშემო ტრიალებს. მისი სიმახვილე ჭამა-სმას არ სცილდება. გარდა ამისა ბევრს ლაპარაკობს და ხუმრობას მარილი ეცლება ხოლმე. ნაჭიერი ყმაწვილია... სწერდა პატარა ნოველებს, ლექსებს... და ასაღებდა „მაიაშვილის“ ფსევდონიმით... ხალხს ნამდვილი „მაიაშვილი“ ეგონა და კითხულობდა.

პოეზიაშიაც ახალი სიტყვა სთქვა: „ბულბულს სახე დაეღმიჭა“-ო. დიდი აურზაური გამოიწვია ამ სიტყვამ კრიტიკაში. ეს იყო ახალი აღმოჩენა—„ბულბულს აქვს ბოლო, ფრთები, ნისკარტი,—სახე-კი—არა“. ბოლოს, როცა თითონ ავტორს ჰკითხეს, მან ორივე დებულება უარჰყო.

ახლა აღარ სწერს, იმიტომ, რომ მის ბულბულს ისე მძლავრად მოეღმიჭა სახე, რომ ყბები ამოუვარდა, დამახინჯდა და აღარ იცინის.

სპეციალური სწავლაც მიუღია: გეგმებს ხატავს, მაგრამ ღვინომ ისე გამოუბერტყა თავიდან ყველაფერი რაც გააჩნდა, რომ გეგმებისა აღარა დარჩა-რა და ახლა გაშლილ სუფრას ხატავს (ოცნებაში;) შესანიშნავათ. ერთ „პორციაა“ ხარჩოში რამდენი ნაჭერი ხორციაა—ისიც-კი იცის. დიკოს ყოველნაირ საზოგადოებაში ნახავ მოქეიფეს,—დაწყებული აფიცრებიდან, უბრალო მუშამდე. თავდაბალი ბიჭია.

ჰო და არჩევანში ჩავვარდი—ვის მივმართო საშველათ—ბიკენტის, თუ დიკოს?

ავირჩიე ბიკენტი, გავიგე მისი ბინა და ჩავჯექ ეტლში.

მეეტლემ უარი მითხრა.

— იქ ვერ წაგიყვან ბ-ნო!

— რატომ?

— ის იმისთანა ადგილს ცხოვრობს, რომ ქალაქის ნიხრი იქ არ უდგება... ბიკენტისთან წასვლა თუ გინდა, უნდა გავრიგდეთ.

მეტი რა გზა მქონდა, გავურიგდი და წავედი.

მივედი. ვიკითხე—ბინა მაჩვენეს.

კარზე დავაკაკუნე.

ოთახიდან რაღაც ხმაურობა მომესმა და ბოლოს სიტყვებიც გავარჩიე.

— გამიშვი;

— მოიცა!

— ჩქარა!

— არ შემიძლია!

-- ფეხი ვერ გამოვიღე!

— რა ჰქენ?

— ეხლავე!

კარი გაიღო. შევიხედე.

დახეულ საბანში ბიკენტი გახლართული და ფართხალებს.

შემებრალა. მივეშველე, როგორც იყო გამოძვრა.

შევედი, მაგრამ ოთახია იმისთანა, რომ მშიერი თუ შეხვალ, თვარა მაძღარი ვერ დაეტევი.

შევედი გვერდ-გვერდ და კუთხეში სამფეხა სკამზე დავჯექ.

ბიკენტის ძალიან გაეხარდა ჩემი მისვლა. გავარდა ეზოში, ჭაზე პირი დაიბანა, ჩაიცვა, დაიხურა.

— აბა, მარო, ადექი და დატრიალდი შენებურათ, სთქვა ბიკენტიმ.

„მაროს“ გაგონებაზე თვალები ვაჭყიტე.

— ეს ჩემი პატარა და არის... მითხრა მან, მოწყინდა სოფელში და აქ ჩამოვიყვანე... ცოტას გაერთობა, დროს გაატარებს ქალიშვილი...

„კაი დროს გატარებაში კი გყოლია“—ვიფიქრე გუნებაში, მაგრამ ხომ იცი შორაპნელი აზნაურის ტრაბახობა.

მამული იმდენი აქვს,—ეზოში რომ დაჯდეს ნახევარი ზურგი სხვის ადგილში რჩება. რომ მოკვდება ჭაში თუ დაიმარხავთ სარივით, თვარა სასაფლაო მაგას არა აქვს.

— აბა, მარო, ძვირფას სტუმარს „ზაკუსკა“ მოართვი! ჩააცივდა ბიკენტი.

— კედელს თუ უბვენს არ ვიცი, და სხვა ჩვენ არაფერი გაგვაჩნია! მომესმა ლოგინიდან ბავშვის ხმა.

ბიკენტის შერცხვა, მაგრამ გასწორდა.

— რა მასხარა ხარ, შე ცუგრუმელავ! ნაძალადევის ღიმილით უთხრა დას და ძონძები თავზე წაახურა.

ახალი ნაადღგომევი იყო.

ოთახში ერთ კედელზე ცალი ფიცარი იყო მიჭედილი, ალბათ მაგიდის მაგივრობას თუ ასრულებდა; და ამ ფიცარზე დიდის სიფრთხილით ქაღალდში გახვეული პასკა იდო. ჩუმათ ავაპარე ხელი და თითით გავსინჯე. მაგარი იყო. დავაჭირე თითი—არ ჩადის. ვკარი წკიპურტი,—ცარიელმა თუნუქმა დაიჟღრიალა... მივედი—ქაღალდში შეხვეული პასკის ფორმა იდგა მხოლოდ საჩვენებლათ.

გულუხვი მასპინძელი რომ გამომეყვანა ამ უხერხული მდგომარეობიდან, ავდექ და წამოვედით.

— პატარა საუზმე ხომ იქნება ამ დილით? — მკითხა ბიკენტიმ.

— ისე მაძღარი მივდივარ შენგან, რომ მგონი სადილიც ველარ ვჭამო. ვუპასუხე.

— ნუ ხუმრობ, თუ კაცი ხარ! აბა ამ უთენია რომ მომადექი, რა უნდა მეჭმია?!

— შენ ჰო, მაგრამ ის ბავშვი რას სჭამს დღეს? მზრუნველობით ვკითხე.

— არაფერია! მეზობლები აჭმევენ. დამშვიდებულმა მიპასუხა. შენ ჩემი საქმე მითხარი!

— საუზმეს გაჭმევ, მაგრამ „წ‘‘ლზე რაც იწყება, ის არ მოითხოვო... წიწილი, წვადი—არ იყოს... ხარჩო და ღომი.

— „პ“-ზე ხომ შეიძლება? პაპიროსი—გალეია!?

— ჯანაბას შენი თავი!

ვალ. შალიკაშვილი.

(შემდეგი იქნება).

კუმც ფეხი გამოუდო

(ი გ ა ვ ი)

ალექსი იყო კარგი მეჭურჭლე,
კარგი ქოთნების მაკეთებელი
და გაყიდვაშიც გამობრძმედილი:
ენით სჭრიდა, ვით სამართებელი.
როცა ბაზარში მუშტართა შორის
ის მოჰყვებოდა ქოთნების ქებას
და ამა მიზნით დაუზოგველათ
ხმარობდა მთელ თვის მჭერმეტყველებას,
უნდა გენახათ იმისი სახე
აჭარხლებული, როგორ[illegible]
თანაც ის ქოთნებს მუშტრის სახმობათ
აწკრიალებდა, ვითარცა ზარი.
„კარგი ქურჭელი! კარგი ქოთანი!“
ისმოდა მისი ხმა მიმზიდველი
და იშვიათად გაბრუნდებოდა
ხელცარიელი მისგან მყიდველი.
რას არ ეტყოდა? რას არ მორითავდა?
თავისი მუშტრის მოსახიბლავათ.
რა და რა ზომას არ მიმართავდა
ზედმეტი გროშის ასაცინცლავათ?..
ვიცით, რომ ჩარჩულ სულისკვეთებას
არ უჩანს ბოლო და არცა კიდე,
მისი დევიზი ეს სიტყვებია:
„იაფიანი ძვირათა ჰყიდე!..“
და საქონლისა სიძვირის ახსნაც
ვაჭარმა იცის დროს შესაფერათ
ხან აქ გაფიცვებს მოიმიზეზებს,
მუშასა სახავს ცხოვრების მტერათ;
ხან იქ ქარხანას ცეცხლს წაუკიდებს,
ზარალს აღრიცხავს მილიონობით;
ხან წყალდიდობას მოიხსენიებს,
ამ და ამ სპარსულ გაზეთის ცნობით;
ხან ხოლერასაც მოიშველიებს,
შიმშილსაც ამ მხრით გამოიყენებს,
ომი ხომ აძლევს მდიდარ მასალას:
რომ აღძრავს ენას, არ მოგისვენებს:
„ეს ავსტრიაო, ეს გერმანია,
ეს ბოსფორიო, ეს დარდანელი...
ერთი სიტყვითო, ვაჭრობის საქმეს
კრიზისი აქვსო აუტანელი!!!
ალექსიმც, ალბათ, რომ შეამჩნია
ვაჭრული საქმის არევ-დარევა,
ქოთნების ფასი დიდათ ასწია,
ჩარჩულ კერპს უწყო გუნდრუკის კმევა!
და აი ბაზრის შუა ადგილას
დღეს მან ქოთნები გამოაფინა:
ჩვეულებრივათ ჩამოჰკრა ზარებს
და გაიჯგიმა ამაყათ წინა!
აგერ მოადგა კიდეც მუშტარი
და ქოთნის ფასი შეჰკითხა წყნარად,
ალექსიმ ჯერე ხმაც კი არ გასცა,
თითქოს მის კითხვას იჩნევსო არად!
მუშტარმა კითხვა გაუმეორა:
აბა, მეჭურჭლევ, ამ ქოთნის ფასი?!.

—„ამ ქოთნის?.. შენებრ ნაცნობ მუშტრისთვის
ეს ეღირება ერთი აბაზი!..“
—„რა აბაზიო?! შაურად ჰყიდდი
და დღეს ასეთი რა მოხდა ნეტა?..“
—„რა და... ნუ თუ არ გაგიგონია
შენ, დარდანელი რომ დაიკეტა?
ომი რომაა ევროპიული,
მით საქონელიც გაძვირებული?..“
და ამგვარ ბრძნულსა აზრებს იმისას
ისმენს მუშტარი კაკვირვებული...
ბოლოს ტუჩებზე მწარე ღიმილით
წყნარად შეჰკითხა მან მექოთნესა:
—„კი, დარდანელი დაკეტილია,
მარა შენს ქოთნებს ვინ უთხრა ესა?..“
—„ვინ და... მე!“ მკვახედ უთხრა მექოთნემ.
—„ჰო?! აბა ახლა ისიც უთხარი,
სანამ დარდანელს არ გაარღვევენ,
აღარ მოვა თქო თქვენთვის მუშტარი!..“
უთხრა დაცინვით და გამობრუნდა.
დარჩა მექოთნე თვისი ქოთნებით,
ომის უტყუარ ამბების ცოდნით
და მოგებაზეც ტკბილის ოცნებით...

ონისიმე.

საავარაკო შარჟები.

გრიშაშვილი. შენ ტურფავ აყრილ ფიქენარს
რა ტურფაა, რა საამო,
რას ჯიუტობ იადონო,
წამო ტყეში, ტყეში წამო!

ა კ ა კ ი ს დ ღ ე.

(დრამა და მუსუკა)



ფოცხვერაშვილი. ალიოშა, როგორ არის დრამის საქმე ქვევით?
წუწუნავა. დრამის არა უშავს, მუსიკის საქმე როგორ არის მანდ, ზევით?



შარადა

ვფიქრობ დაჰნატრდა მკითხველსა
შარადა კოლოს ნაწერი.
(მართლაც, რა კარგი რამე გვყავს,
რა მოშარადე, რა მწერი!!)
და აი, კვალათ შეუდგა
იგი შარადის წერასა...
(იმგვარ ძნელ რამეს აპირებს,
რომ ვერ გაუგებთ ვერასა!)

—

მოჩბის და მოჰქუხს მდინარე
ალპიის მთათა ძირებსა,
რომ ბარში ნანა უამბოს
ქალაქებს განახშირებსა.
მოჰღელავს აღმოსავლეთით,
ღრმა, მოკამკამე, ლაჟვარდი,
ამწვანებულსა ნაპირებს
ია უმშვენებს და ვარდი.

იპოვეთ ესე მდინარე,
(ერთხელ კიდეც გაქვთ ნახული)
და გქონდეთ იქვე, ახლორე
საქმისთვის შემონახული.

—

აწ იმა მხარეს კვკლუცსა,
სად წყალი იგი მჩქეფარებს
იპოვით ქალაქს სატახტოს,
(მისგან სამხრეთით მდებარეს).
დიდების ედგა გვირგვინი
ძველიათ მას, მხნეს და ძლიერსა,
აწ აჩრდილს გარდასულისას
მილასლ ასებულს, ხნიერსა.
ხშირად სწყალობდა შემთხვევა,
მას სახელ შენამატებსა...
(ერთხელ რომ ნგრევას გადარჩა
ის დაუმადლოს ბატებსა).

—

აილეთ ესე ქალაქი,
დასდგით მდინარის კიდესა,
მათ შესაერთად მოვნახავთ
ქორონიკონის ხიდესა.

თორმეტის მეოთხედია
ჩვენთვის საჭირო ნიშანი
და ვინც ვერ მიხვდა, ვერ ჰპოვოს
ცაზე მზე, ზღვაში ქვიშანი.

—

უკვე მზათ არის შარადა,
სიმწარით განაჭედავი...
ფერი გეცვალათ? რა იყო?
რამ შეგაშინათ ნეტავი???
ხელობა არის ერთგვარი
შავ-რაზმელთ, ნაძირალების,
მტრისა და მოყვრის ერთგვარათ
დამყენებელი თვალების.
რუს-ოსმალეთზედ იტყოდნენ
ძველათ ამ დარგის ხელობას,
დღეს ინგლისშიაც შეუდგენ
ამ გვარის მიმბაძველობას.

კოლო.

ომის მიმოხილვა

(საამდროვო სიტყვა, თქმული ერთ ნადიმზე)

...ეხლა, ბატონებო მოისმინეთ ჩემი აზრიც ევროპის ომის შესახებ! ეხლანდელი ომი, როგორც გამომხატველი პარტიზანულ თეორიათა სტრატეგიულ ნორმებისა, შესაძლოდა ხდის განვახორციელოთ ის ოფიციალური რაიონი პრინციპების ტაქტიკისა, რომელიც ჩვენი ნორმალური გულის ფორტებიდან გამოვლიან ინციდენტის პარლამენტიორებათ, როგორც მოგახსენეთ, თეორია პრინციპების მეტად დახშულია ფრონტის მილიტარიზაციის დესანტებში და ამიტომ ფსიხოლოგიური მხარე გერმანიის მიმართულებისა გიპნოტიზმის შედეგების გრადუსებს ძლიერ ავიწროებს. ასეთივეა მანუფაქტურული მხარეც გერმანიის მატერიალური კორპუსებისა. ის ფლოტი, რომელიც გათხრილ მიწაშია ჩაპრინციპებული, იძულებულია თავი იკვებოს ოფიციალური გაუბიცებით და უზარმაზარი ორმოცდაორ სანტიმეტრიანი გარნიზონები შესთავაზოს რადიოტელეგრაფიულ ფრონტს.

ესევე ითქმის დრედნოუტების ტაქტიურ ნორმებზედაც: იგივე გიდროპატიული მიმართულება, იგივე ბიუჯეტიური კონტრ-იერიშები და კოლონებით საზრდოება...

ამ რიგად თუ იმ რიგად, ამნაირად თუ იმნაირად, ასე თუ ისე, მაინცა და მაინც არ უნდა მოველოდეთ იტალიის პოლიტიკის ექსპედიციას და პოზიციების თეორიის კონტრ-იერიშთბას, მაგრამ, ბატონებო, ნუ გავიწყდებათ რომ ტერიტორია მილიტარიზაციის კრეისერთა პრინციპებისა კოლონიზაციას მოასწავებს შტაბის ფორტებში. მეორე მხრით კი ესეთი აბსოლუტური პრინციპი გვედობება წინ: მეთოდი პრაქტიკული მილიტარიზმისა ფსიხოლოგიურად ვერ ფილოსოფობს ობსტრუქციათა პარლამენტში. როგორც იდეოლოგია მატერიალისტურ მეტაფიზიკისა და სისტემატიური იერიშები ლოღიკებისა, ისევე ფიზიონომიას და პრაქტიკულ სტილს გვიჩვენებს ეხლანდელი ჰონონარის ჩიჩერონე...

დაბოლოს ნებას მივცემ ჩემს თავს და გთხოვთ რომ ფინანსიურ მხარეს ნუ გააწბილებთ და მატერიალურ კონფლიკტად, ანუ კონტრ-იერიშების არენად ნუ გახდით ჩვენი მასპინძლის, პატივცემულ კალისტრატე ანემპოდისტის—ძე ჩახმახ-კაჯკაჭიშვილის სახლს და სადგომს...

მე დავათავე ..

— (ხალხი) ვაშა! ვაშა! ვაშა! ბრავო! ბრავისსიმო!

სტენოგრაფიულად ჩაწერილი **გუგულის მიერ.**

„დესეტნიკის“ დღიური

(დასასრული)

28 აპრილი.

დუქანზე მივედი,—რა ღირს ბალი?

— აბაზი.

— აბაზათ ბროცკის შაქარია.

— შენ არ გაგიგია დარდანელი ყოველივე საქონელს აძვირებსო? მიპასუხა მედუქნემ.

ნეტამც მეტყოდეთ: ვინცხა ეშმაკია ე ოჯახ ამოსაბუგავი დარდანელი, რომ კვახჭირში მოსული ქუთაისში ისე ვერ მოუტანიათ, რომ დარდანელს აბაზათ არ გაეხადა გირვანქა. მაგრამ თურმე ნუ იტყვით! ოთხ მანათიანი შაბიამანი რომ 27 მანათი გახადეს ჩვენმა ღიპიანმა ვაჭრებმა, მიტომ სამ სამ კაპეიკიანი ბალი, აბაზათ გახადეს სოფლელებმა. ვაი ჩემი ბრალი! მეკი, ბალის გაძვირება უფრო მწყინს.

29 აპრილი.

მშვენიერი დარია, ბრწყინვალე მზე დედამიწას ეარშიყება... ქუჩაზე მივდივარ, ვიღაცა ულვაშებ გაკრეჭილი დაბალი ცილინდროსანი კაცი, გაწო-

ლილა სიგრძით ქვაფენილზე, ხელები პირთან მოუტანია და ქვებზე დაკვირვებით ბექდავს: — ხვალ ქალაქის ბაღში, გაიმართება დიდი სეირნობა, ორი ათასნაირი სანახაობით: იჭიდავებენ ცნობილი აქტიორები, ურიშინის ხელმძღვანელობით. გამდიდრდებით უფულოთ; უყურებთ ენვერდ ხაშის გაფრენას, იქნებიან ლამაზი ქალები „მჩისტავებათ"*), სხვა და სხვა და სხვა სწორედ არ მინახავს ასეთი თი აქტიორები, ასე სასტიკათ იმათრახებდენ თავის თავს. ეს ვთქვი და ყოველივე უბის წიგნში ჩავინიშნე.

30 აპრილი.

სალამო ხანს გეახელით ბულვარდში, მაგრამ არ შეგჭამოს მიწამ მე იქინა არაფელი მენახოს წითელ ყვითელი მაზხალებისა და მოარშიყე ქალვაჟთა მეტი.

1 მაისი.

ნამეტანი ქარბუქის დროს, ჩამტვრეულ ქვაფენილში ფეხი ჩამივარდა და ვიღრძვე.

7 მაისი.

ამ ერთი კვირის მსვლელობაში, ქე ხთებოდა წვრილ-წვრილი ამბები, მაგრამ ზოგის ჩაწერა დამავიწყდა, ზოგიც ჩაწერის ღირსათაც ვერ ვცანი. ამ ერთ კვირაში სულ იმას ვფიქრობდი, როგორ დროებას გავატარებდი, როგორ ვიქეიფებდი იმ ჩემ მოყვარე კაცთან „ბანოჯაში". გათენდა ეს ბედნიერი დღეც და გიახელით... ოხ რომ იცოდეთ რა გულ-უხვად დაგვხვდა ი ჩვენი მასპინძელი; თუმცა თვითონ არაფელი გააჩნია, მაგრამ სტუმრების გულისთვის სულს დააგირავებს, სულს. ახლაც ცალი ხარი გაყიდა, თუმცა ყანების თესვა არ ჰქონდა გათავებული, მაგრამ აბა სოფელ ქვეყანაში თავს როგორ შეირცხვენდა. მერე როგორი პატივი გვცა იმ მამა ცხონებულმა. სასიმიდეში ტარო სიმინდი არ გააჩნია და მთლათ გაქლიტა:

კვატ-ბატ-ქათამ-ინდაური,
მასთან გოჭი, ხბო და ცხვარი;
წვნიანს ღომი მიაყოლეს,
და მშრალს ისთე გამომცხვარი.
ხაჭაპური ბევრი ვქიშტეთ,
ღვინოც ვყლუპწეთ, ლალის ფერი;
„სტოლზე" თუ რამე გააჩნდათ
მთლათ შევთანთქლეთ ყველაფერი...

ზოგიერთი კაცი ღმერთ გეფიცებით, გამოყეყეჩებულია; ერთი ვიღაცა მებუტურებოდა: „ამისთანა დღეობა კაცის გამანადგურებელია, მთელი წლის სარჩო მოსახლე კაცმა ერთ დღეს უნდა დახარჯოს, და დეიფსოსო". სულელი არაა?..

. . . .

ვიქეიფოთ, მეტი რა შეგვრჩება! ასთე არ არის თუ ღმერთი გწამს?...

8 მაისი.

ქუჩაში გაცხარებული ჩოჩქოლია და აყალმაყალია, „გოროდოვოი! გოროდოვოი!" — ვიღაცა ყვირის. მივარდი. — რა ამბავია?

ეს თავგასული „მეფაიტონეები" რომ არავის მიყვება წეიყვანე უჩასტკაში, და მეც მალე მოველ იქ. მითხრა: ერთმა თავ-მოშვლეპილ გალუსტუკიანმა ბრაზ-მორევით, ჩავხტერდი „ფაიტონში, ჩქარა გასწი! „მეფაიტონე" ჯიუტობს; აგრე არ უნდა ჯიუტობა თქვა, და მივაყოლე ლეკურის ტარი ბექებში. ბოლოს გეიარა რამოდენიმე, და მეღრიჭება თან ათ შაურიანს მაწვდის.

ო, ეს ფულები!.. რაც უნდა გაცეცხლებული ვიყო, მალამოს დამადობს წყლულზე, მალამოს. მაგრამ მე მაინც შევჭოჭმანდი. მანათიანი რომ შამომაძლია, მთლათ დამავიწყა სამსახურის მოვალეობა და ვიჯიბე მაგრამ სალამოს ყველაფერი გამოირკვა, და დამაპანღურეს.

ვაი ჩემი ბრალი! ირემის არ იყოს, რომ ჩემ დამამშვენებელ ფართე კაკარდაზე ნომერი არ დაწერილიყო, ეგება არც კი დევიღუპებოდი.

ახლა ეს ერთი კვირაა ტყვილა დავდივარ, მაგრამ არც ისე ტყვილა, მე ყოფილმა „გარადავოიმ" პოეტობა დავიწყე. რავა ეგება გიკვირთ ვისმეს? პროფესორიდან შვიდი წლის ხელზე მოსამსახურე გოგო ბიჭებამდი, ყველა პოეტობს, ყველა ლექსებსა სწერს, და მე რა უკანასკნელზე უკანასკნელი მნახეთ.

აი ჩემი ლექსიც რომ ჩემ ნიჭში დარწმუნდეთ:

სიმბოლო ჩვენი ცხოვრებისა.

ლხინი ძმებო! ლხინი მამა პაპური;
დაე, მტრისგან დიიღუპოს მამული.
დრო ვატაროთ, ვიფარფაშოთ, ვიხაროთ,
სიმართლის წინ, ქედი არ მოვიხაროთ...
და სვირული, თავში რომ გაბრწყინდება,
აზრი, გრძნობა, მასში გაიწმინდება...
რას გვიქვიან ძმური საქმე ერთობით?!.
ჩვენ „ბახუსთან", „ვენერასთან", ვერთობით.
ვინც გამწარდა სიმართლისათვის, რა პოვა?
ის დაგვშორდა, და აწ ჩვენთან ვერ მოვა.

*) ფეხის მწმენდლებით.

მაშ დავლიოთ! სხვა შეგვრჩება არა რა;
გვიწინამძღვრებს „ბახუსი“ და „ვენერა“...

16 მაისი.

ეს ჩემი ნაწერები გადავეცი, ბატონ „რეკეკე როკოკოს“, რომ ჩვიდმეტ მაისს ქალაქის, თრიათში გამართულ სალამოზე წაიკითხოს: ვინაიდან საზოგადო ხასიათს მოკლებული არაა.

პატივისცემით ასტამნთი გორდოვთი.

რეკეკე როკოკო.

დეპეშები.

ფოთი. ეფისკოპოზის კანცელარიამ დაასრულა გამოძიება მამა ილიას კურთხევით გამოწვეული ალიაქოთისა[1]) ლანჩხუთის საბლაღოჩინოში. მამა მოსეს ბლაღოჩინობა ჩამოერთვა, რამეთუ მოვალეობა ესე მძიმე და თვით მოსე მჩატე გამოდგა. მამა დავითს მიესაჯა ამ ზაფხულზე ფოთში ყოფნა და საკათედრო ტაძრის ირგვლივ სიარული შემდეგი ლოცვით:

„ალაპ-სანთლები სულისთვის კარგია,
სამკითხველო კი ზედ მეტი ბარგია...
წყეული იყოს სკოლა სამინისტრო[2])
აწ „პრიხოდსკოი“ უნდა დევიკისრო“-ო დ სხვ.

ამავე ტაძრის ეზოში მამა მოსეს მეთაურობით დასჯილმა ხუცებმა შეაჩვენეს მამა ილია, რამეთუ დროსა „ერთობისასა“ ეშმაკთა „პროგრამით“ ხოლო დღეს კურთხევით არ მოასვენა სულიერი მამანი.

მამა ილიამ კი ყველაფერში იმართლა თავი, რადგან ყოვლად სამღვდელოს მოაგონა ყოფილ „დამცველ განყოფილების“ მოხელის მამა **ინწკირველის** კურთხევა.

ყოვლად სამღვდელო იმით არის კმაყოფილი რომ უკიდურესი—„სოციალისტი“ (როგორც მამა ილია იყო) და უკიდურესი „მონარხისტი“ (როგორიც მამა ინწკირველი იყო) იხსნენ ეშმაკისაგან, განაგდეს სატანა და განწმენდილნი დაემკვიდრნენ «სასუფეველში“ [3]).

—

იქიდანვე. ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში მოურავის მოადგილეს ბ-ნ ტყემალაძეს გასაძარცვავათ თავს დაესხა „ქალარა მეგაზეთე“, რომელსაც ვითომ და ტყემალაძის მისაწოდებლათ გაზეთები ეკავა ხელში. ტყემალაძემ კარებშივე შეამჩნია ბოროტ-განმზრახველი და გმირულათ შესძახა: „Нельзя“-ო, თანაც გააფრთებული გამოუდგა დასაჭერად, მარა მეგაზეთემ ისარგებლა რა დარბაზში ხალხის ყოფნით გაასწრო გარეთ. გამოძიების დროს ქალარა მეგაზეთემ გააცხადა: „ტყემალაძეს გაზეთები ჰქონდა დაკვეთილი და მისაწოდებლად მივდიოდი. დაუმატა აგრეთვე: ნიკოლაძესთან მუდამ მიმქონდა გაზეთები, და არა თუ ასეთი ბრალდება, ხელსაც მართმევდა გაზეთების მიწოდების დროსო“.

ბ-ნი ტყემალაძე არ დაკმაყოფილდა ამით და ბრძანება გასცა დარბაზში არ შემოიპაროს ჟურნალ-გაზეთებისა და დეპეშების დამტარებლები, რომ თავიდან აიშოროს მოსალოდნელი საშიშროება ავაზაკთაგან; მართლაც დამტარებლებს შესვლის უმალ ატყვევებს „სტოროჟი“ ვლასი.

—

იქიდანვე. ადგილობრივ „ფქვილის ვაჭართა კავშირმა“ გურია-სამეგრელოს დამშეულთა „დახმარების“ მიზნით პირობა ჩამოართვა ბ-ნ კაპეიკინს: ფოთში მიღებული ფქვილი „კარშირის“ დაუკითხავათ არც სოფლის კოოპერატივებს და არც მცხოვრებს არ მისცეს, რადგან თითო ცალზე 15-20 კაპ. „შეღავათს“ აძლევენ დამშეულებს. თვითმართველობამც დაადგინა ფოთიდან გასატან ცალ ფქვილზე თუ გუბერნატორის ნება-რთვა არ დაურჩეს, სოფლელი მეურმე დაატყვევოს და გურიიდან ჩამოტანილ ბალში გადაცვლილ ფქვილს რეკვიზიცია უყოს.

—

იქიდანვე. მესანდლე თათარს (რომელიც ადგილობრივ ქრისტიანებს ბევრად სჯობნის თავის კეთილშობილური ყოფა-ქცევით) ფოთის რაინდმა იმედეიშვილმა ადუღებული ყავა შეასხა, რადგან გერმანელების სულის შემხუთველ გაზის ხმარების

[1]) ალიაქოთი სასულიერო საქმეების არევ-დარევა.

[2]) მამა დავითის მრევლს თურმე ს. შუხუთში ალაპების და სანთლების მაგიერ სამკითხველო და ჟურნალ-გაზეთები შამოუღიათ და „პრიხოდსკოი“ შკოლის მაგიერ „სამინისტრო“ სკოლა“.

[3]) სასუფ-ველი—ასპარეზი, სადაც „სუფის“ გარდა ხარშო და დუმაც (არა სახელმწიფო) იშოვება ალაპზე.

მაგიერ შურის ძიება უნდოდა მათ მომხრე ოსმალოზე (თუმცა ხსენებული ოსმალო რუსეთის ქვეშევრდომი და დამხმარეც არის თურმე დიდათ) „მტერთან“ ასეთი თავგანწირული ბრძოლისათვის იმედეიშვილს ბოქაულმა ერისთავმა „კულებაკინის ჯილდო“ [4]) თავის ფეხით[5]) მიართვა და „სასტუმროშიც“ მიიწვია, საიდანაც ძლიერ „პატივნაცემი“ დაბრუნდა ჩვენი რაინდი იმდეიშვილი.

ბუტუნას სააგენტო.

—

ს. მარტყოფი. უკვე მეორე კვირაა, რაც ადგილობრივი დამსახურებული ფერშალი იოსებ თუშმალიშვილი უგზო-უკვლოდ გაგვეკარგა. გთხოვთ, თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება, გვაცნობოთ.

ავადმყოფთა მონდობილობით ავადმყოფი ლუსკა.

მოხსენება

ს. აცანა. ძმაო ეშმაკო გვიშველე
საჭირო არის მათრახი
და საამისო ამ ჟამათ
სწორედ აქ არის ნანახი.
ჩემი სწავლება რათ გინდა
ქე იცი აქ აფთიაქი
(მოიჯარადრე კაცია
გასალანძღ-გასაქიაქი).
თითქმის რომ ერთი წელია
წამალი გამოელია
და თვით შუშები სტირიან
მუდამ რომ ცარიელია.
ავადმყოფები კვნესიან
ლოგინზე, დავრდომილები,
პირზე წყევლითა კვდებიან
ეხუქებიან თვალები.
აქ სამართალის გაჩენა
უფალმა აღარ ინება
და თუ შენ დაგვეხმარები
სწორეთ რომ კარგი იქნება.

ანო.

—

დიდი ჯიხაიში. ჩვენი ბაზრის მოვაჭრეებმა,
გაგვიძვირეს ყველაფერი:
სპიჩკა, ნავთი, პურ-მარილი,
საპონი და ქალის ფერი.
მამა-სისხლად, გვიფასებენ,
დაედუღრათ ულვაშ-წვერი,
არ გვზოგავენ არაფრისთვის,
თითქო ვიყვეთ მათი მტერი.
საათობით უმატებენ,
შაბიამან-გოგირდს ფასებს,
ტყავს გვაძრობენ „ნელა ნელა“
თავს უყრიან მით ათასებს.
ყველა ჩვენზე კბილს ილესავს,
გარეთ მგელი, სახლში მელა,
ვაჭრებისთვის აღდგომაა,
ჩვენთვის დიდი ხათაბელა!
გარეთ ომი, შიგნით ომი
და შიმშილი კუჭის მწველა,
დრამის ფულის გულისათვის,
მოძღვარმაც კი შეგვაცხელა.
ღიპიანი და უღიპო,
უწვერო და წვერებ გძელა,
ვით ტარტაროზ-ეშმაკები,
დაგვესიენ ჩვენ სულ-ყველა
და არ ვიცი რა მოგველის,
თუ ეშმაკმა არ გვიშველა.

კიკოლა ბიჭი.

—

ველის ციხე.

ახალგაზრდა ჩოხიანსა, ხმლიანსა და ხანჯლიანსა,
უცებ ბედმა გაუღიმა, (აღარ ჰკაფავს ანწლიანსა).
და მიიღო უფროსობა ერთი დიდი სოფლისაო,
(რითაც გახდა მადლიერი, ტიალ წუთი სოფლისაო).
თურმე „უწინ“, ერთობის დროს, გმირი ერქვა ხალხისაო
და როგორც სხვა, დროთა ბრუნვამ, ისიც დაახალისაო
მაშინ გაჰყვა ახალ გზასა, შესაფერს და შეწონებულს
„პრავიტელი სტარშინობა“ მას უბოძეს მოწონებულს
მას კი თურმე იზიდავდა ბოქაულის ანდამატი,
მაგრამ იქაც ვერ გამოდგა, ტვინ თხელა და ფუქსავატი!..
დაეკარგა ესეც, ისიც, აღარც მტრედი, აღარც ყვავი
ფორმის ქუდით, უკაკარდო, გახდა უცხო სანახავი!

---

[4]) კულებაკინი ძველად განთქმული მეპანდურე გუბერნატორი იყო.

[5]) ჯილდოს გაცემის დროს ხელის მაგიერ ფეხის ხმარება ნიშნავს დაჯილდოვებულის დიდ მამაცობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრუნდა ისევ სოფელს, „ზოგიერთთან“ ჰპოვა ბინა
(და მთლად გეტყვი თუ დამაცდით, მან რაებიც ჩაიდინა):
ხალხს ეშმაკურ მოხერხებით სიყვარული ჩაუხლართა,
ზოგსა ბავშვი მოუნათლა, ზოგს სადილი გაუმართა.
ამ დროს თურმე ამა სოფელს დაჰკარგოდა სადღაც „მამა“
(და სოფელი, ის მსუქანი, ხომ უნდა ვისმე ეპამა!?)
აი სწორეთ ამ საქმისთვის მას მიეპყრა ორივ თვალი,
(ამით თურმე სრულდებოდა მამა მისგან შენათვალი):
(ისიც ამ გზით მოარული ყოფილიყო სიცოცხლეში
და ამ გვარი საქმისათვის ის დღეს გახლავთ „სამოთხეში!“)
გასჭრა ბედმა, აესრულდა ამ ჩვენს გმირსა საწადელი
და მიიღო „ღვეპი“ კისრად, ჰპოვა დუმა მოსათლელი.
აი აქ კი გამოადგა „სამსახურში“ რაკ ესწავლა!..
(რატომაც არ ისარგებლოს, ტყუილად ხომ არ ეწვალა?!)

ჩრჩილი.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

„ცხოვრების სიმღერები“

დეკსები ბეკდარ ახოსპირელისა.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განათლება“-ში, ოლღას ქუჩა № 6.

ფოსტა

ხუტუას. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, თქვენთან ერთად სხვათა საყურადღებოთ, რომ სახუმარო კილოთი დაწერილ ცნობას უთუოდ საფუძვლიანი განმარტება უნდა ახლდეს თან რედაქციის სახელმძღვანელოთ. ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, ვინ მღვდელია, ან რა ბაღებია, რომლის შესახებაც თქვენ იწერებით. არ დაიბეჭდება.

ათან. ნიკ. თქვენ იწერებით:

„პირველად ნახე პროკოპი,
ბოჩიკი ძველის ძველია...
ბევრჯელ ამ ყმაწვილს ცოლისთვის
გვერდები დაუზელია“.

ჩვენ ათასჯერ გვითქვამს, რომ ოჯახურ საკითხს რედაქცია არ ეხება თქო და კულაშისათვის ცალკე კანონებს ხომ ვერ ვიქონიებთ. არ დაიბეჭდება.

წაველას. თქვენი ლექსი ეშმაკას კარანტინში თავისუფლათ გავიდა, მაგრამ შემდეგ სტაცეს ხელი.

წიაკოს. იკითხეწა მორეზე მისაა ასადმინუტუ ნაწერიმი.

გოგიას. თქვენი ვოდევილი მოკლე ხანში დაიბეჭდება.

მაზოლის ექიმი

მაზალის ექიმობაში გამოჩენილმა ვლადიმერ საყვარელიძემ გახსნა კაბინეტი. არჩენს უვნებელი საშვალებით: სპილოს ძვლებით და ქვით. იქვე აქვს მოწყობილი ფეხსაცმელების საწმენდი. ადრესი: ნეკრასოვის და ელისაბედის ქუჩის კუთხე.

იყიდება გასული წლების ჟურნალები:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

2) „ეშმ. მათრახი“ -1909 წლ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.

ორივე წიგნი მშვენიერი ყდით ელირება—6 მან.

3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.

პროვინციაში მსურველთ გაეგზავნება ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ გამოგზავნის ფულს ან ფასდადებით გაიწერს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Теофилу Болквадзе.

სნეულთ დასუსტებს სპერმინი

ნებადართულია შინაგ. სამინ. არს. სამკ. საბჭ. მიერ № 9796

ი. ნ. ივანოვის ლაბორატორია მოსკოვში.

თუ თქვენ მოჭანცული ხართ ფიზიკური ან გონებრივი შრომით, ნერვები აშლილი გაქვთ, ესა თუ ის სნეულება გჭირთ—**გულს ნუ გაიტეხთ!** სპერმინი მოგანიჭებთ სასურველ დახმარებას. არ შეიძლება მას ვუწოდოთ წამალი სხეულის რომელიმე ადგილობრივ ავადმყოფობისა, არა! ეს არის სრულიად უვნებელი რამ—ეს არის სიცოცხლის ესენცია, ეს არის ძალ-ღონის წარმომშობი. იგი ჰმოქმედობს სისხლის შემადგენელობაზე, გადაახალისებს მას და სწვნდავს მას დაძველებულ მავნებელ ნაწილებიდან. როდესაც სნეულებისა თუ მოხუცებულობისაგან დაავადებულ ადგილას მოახდება სპერმინი, რომელიც ჩვენს ჯანსაღობას სდარაჯობს, მაშინვე იწყებს ნაყოფიერ მოქმედებას დაზიანებულ უჯრედების გადასახალისებლად, აწვდის მას ახალს სისხლს, ახალს ძალებს და სნეულების წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროებისა ჰმატებს. ექიმებმა დაადასტურეს, რომ სათესლე ძაფების გამონაჟური უებარი წამალია: სიბერით გამოწვეულ უღონობისა, სისხლ ნაკლებობისა (ანემია), მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნერვების აშლისა, დაქანცულობისა და სქესობრივ უილაჯობისა, დამპალ ციებისა და ჩუკუნების შედეგისა, სიგამხდრისა, სიდამბლისა, სქესობრივი სისუსტისა, წყალმანკისა, გულის სნეულებისა, შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ნიკრისის ქარებისა. **ექიმებისა და ავადმყოფთა აზრი სპერმინის თაობაზე უფასოთ ეგზავნებათ.**

მოითხოვეთ ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. ფასი—1 ფლაკონი—2 მან. 40 კაპ. ფასდადებით ეგზავნით ღირებულების 1/3 მიღებისას, შეიძლება ფოსტის მარკებითაც. მთავარი საწყობი პროვიზ. ახალედიანის აფთიაქში, თფილისი, კოდფოვნის ბრასშეტი № 41, დასაკვეთად მიჰმართეთ მთელი კავკასიისთვის წარმომადგენელს **ი. გ. ახობაძეს**, ტფილისი, კოდფოვნის ბრასშ. № 41.

მიღებული გვაქვს სამადლობელი წერილები აუარებელ პირთაგან, რომლებიც სრულიად გამოჯანმრთელა ჩვენმა სპერმინმა, წერილების ნახვა შეიძლება გ. ახობაძესთან.

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

გაიხსნა ახალი აფთიაქი ვარლამ აბზვლედიანისა.

ფუფუნა „ჩვენი გემო“ კვასი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება ბარეულ ხარისხოვან მასალისაგან და ნადუღი წყლით. სისუფთავე ქარხანაში საუცხოოთ დაცულია. ამზადების დიდი ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოხელე. გემო და სუნი მეტად სასიამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პური კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და არ აიარიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ ქიმიურ ლაბორატორიისაგან გასინჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირველად დარწმუნდეთ.

ინსპექტორმა ოფიციალურ ანალიზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდმა გასძახა ბულბულსა:— ეგ ბალი დამიცალეო,
— განა სხვა ბალი არ არის, რა ჩემზე მოიცალეო!



წერა-კითხვის საზოგადოება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება გთხოვთ კლუბის ბალი დაუცალოთ სასეირნოთ.

ახალი კლუბი. განა სხვა ბალი არ არის!!

1 მაისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

„განათლება"

ჯერ-ჯერობით აგენტებს გაეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „ეშმაკის მათრახი", „თემი", „თეატრი და ცხოვრება", ქუთაითური „ახალი კვალი", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინაამდეგ შემთხვევაში გაზეთები არ გაეგზავნებათ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.

ნებადართულია სამხ. ცენზორ. სტამბა ამხ. „შრომა". რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე